# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

12 დეკემბერი, სამშაბათი, 1989 წ.
№ 237 (10 156) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


## დავით ზაქარიას ძე ჭავჭავაძე?!

### ქართველი მხედრის მონაწილეობა 1912 წლის ოლიმპიადაში დასტურდება. მაგრამ ვინ იყო იგი?

I ოლიმპიური თამაშები უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკურ და კულტურულ მოვლენად იქცა. ამიტომ იყო, რომ 1912 წლის 16 ივნისიდან — 19 ივლისამდე შვედეთის დედაქალაქისკენ იყო მიმართული მსოფლიოს საზოგადოებრიობის მთელი ყურადღება.

სტოკჰოლმიდან მოსულ ამბებს მოუთმენლად ელოდნენ რუსეთშიც, რომლის სპორტსმენებიც მეორედ ღებულობდნენ მონაწილეობას ოლიმპიურ თამაშებში.

ბუნებრივია, რომ რუსული პრესა ფართოდ გააშუქებდა თამაშების მსვლელობას. ამ მოვლენისადმი გულგრილი არც თბილისში გამომავალი რუსული გაზეთები და მათი ფლაგმანი, კავკასიის მხარის პოლიტიკურ-ლიტერატურული ორგანო — „კავკაზი" უნდა დარჩენილიყო.

მართლაც „კავკაზი" მაისის ბოლოდან — ივლისის შუა რიცხვებამდე სისტემატურად ბეჭდავს ოლიმპიური თამაშებისადმი მიძღვნილ ინფორმაციებს.

პირველი ქართველი ოლიმპიელის ძებნაში გავეცანი ყველა წერილს. განსაკუთრებით გულდასმით წავიკითხე ინფორმაციები ცხენოსანთა ასპარეზობების შესახებ, სადაც კიდევაც მივაკვლიე თავად ჭავჭავაძის გვარს.

აი, ეს წერილი, რომელიც გვაცნობს რუსეთის ცხენოსანთა გუნდის წევრებს.

„V ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი საინტერესო ღონისძიება იქნება ცხენოსანთა ასპარეზობა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფო. შვედური გაზეთები აღნიშნავენ, რომ რუსეთი წარმოდგენილია თავისი ყველაზე საუკეთესო, ჰეშმარიტი მხედარ-ჯენტლმენებით.

ცხენოსნობა სპორტის ერთი იმ სახეობათაგანია, რომელშიც შეიძლება მეტნაკლებად წარმატების იმედი ვიქონიოთ. მასში მონაწილეობას მიიღებენ რუსეთის არმიის შემდეგი ოფიცრები:

დიდი მთავარი დიმიტრი პავლეს ძე (2 ცხენით), პოლკოვნიკი ფონ შრედერი (1), როტმისტრი როძიენკო (2), შტაბს-როტმისტრი ფონ ექსე (2), შტაბს-კაპიტანი სელიხოვი (2), პორუჩიკი ფონ სტრუვე (2), პორუჩიკი ვოლკოვი (1), კორნეტი ... ( ), თავადი ჭავჭავაძე (1), კორნეტი ფომიშკინი (2), პოდპორუჩიკი ფონ რუბელი (1).

თავის ხელოვნებას „ცხენი გაწვრთნაში" უჩვენებს აგრეთვე როტმისტრი ეკიმოვი" (გაზ. „კავკაზი" № 139, 19 ივნისი 1912 წ.).

აი, კიდევ ორი ინფორმაცია დოლში ჩატარებული შეჯიბრებისა და მასში რუსი მხედრების მონაწილეობის შესახებ.

„ლონდონი. „ოლიმპში" მოეწყო ცხენოსანთა ასპარეზობა დოლში დაბრკოლებათა გადალახვით მეფე ედუარდის თასზე. დოლი და მასთან ერთად სამეფო თასი მოიგეს რუსმა მხედრებმა — როტმისტრმა პავლე როძიენკომ, შტაბს-როტმისტრმა ფონ ექსემ და პორუჩიკმა დიმიტრი ივანენკომ.

მეფემ რუს ოფიცრებს დოლში გამარჯვება მიულოცა და პირადად გადასცა ჯილდოები". („კავკაზი" № 134, 13 ივნისი).

ეს ინფორმაცია კი ოლიმპიური თამაშებიდანაა მიღებული. „დოლი მოიგო კარიუმ (საფრანგეთი) — 186 ქულა. ამდენივე ქულით II ადგილი დაიკავა კრეხერმა (გერმანია) და III ბლოთემერ დესუამ (ბელგია). დიდმა მთავარმა დიმიტრი პავლეს ძემ მოაგროვა — 180, პორუჩიკმა ფონ რუმელმა — 178, როძიენკომ — 176 ქულა..." („კავკაზი" № 152, 5 ივლისი).

თავად ჭავჭავაძის გვარს არც ცხენოსანთა ასპარეზობების შესახებ დაბეჭდილ სხვა ინფორმაციებში შევხვედრივართ და ამიტომ არ ვიცით მისი სპორტული შედეგები. სამაგიეროდ სამი ცხენოსანი ჭავჭავაძის გვარს მივაგენით „კავკასიის ს...

იხ. მე-2 გვ.

## პირველად, დამოუკიდებლად...

ამ თავისთავად პრესტიჟულ ტურნირს ქართველი მოფარიკავეებისთვის სხვა მხრივაც ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა — გფრ-ის ქალაქ დორმაგენში გამართული დიდი („ა" კლასის) საერთაშორისო ტურნირი იუნიორ ხმლით მოფარიკავეთა შორის პირველი იყო, რომელშიც ქართველი სპორტსმენები დამოუკიდებლად, პირდაპირი კონტაქტის მეშვეობით მონაწილეობდნენ.

სპორტსაზოგადოება „შევარდენის" ნაკრები გუნდის წევრებმა მსოფლიოს 14 ქვეყნის წარმომადგენელთა მხარდამხარ იასპარეზეს. შეჯიბრება დაძაბულად და საინტერესოდ ჩატარდა — ცნობილი ქიმიური ფირმა „ბაიერი", ამ ტურნირის სპონსორი, უფერული და უმნიშვნელო ასპარეზობის მეურვეობას, ბუნებრივია, არც ისურვებდა.

160 მოფარიკავეს შორის ფინალისკენ დაუმარცხებლად გაიკვლია გზა საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ბექა ქლენტმა (მწვრთნელი ვ. ქოჩიაშვილი), რომელიც გადამწყვეტ ეტაპზე მხოლოდ ერთხელ დამარცხდა და საბოლოოდ V ადგილზე გავიდა. ეს შედეგი და ჩვენი გუნდის საერთო კლასი გახლდათ საწინდარი იმისა, რომ მასპინძლებმა გაისადაც მიიპატიჟეს ქართველი მოფარიკავეები.

დასასრულ, დიდი მადლიერებით უნდა მოვიხსენიო ამიერკავკასიის რკინიგზის სამშენებლო ტრესტი (მმართველი გ. ხაზარაძე), რომელმაც დააფინანსა ტურნირში ქართველ მოფარიკავეთა მონაწილეობა.

**მორის სახვაძე,**
**სპორტსაზოგადოება „შევარდენის" უფროსი მწვრთნელი, ტურნირის ტექნიკური დირექტორატის წევრი.**

## უძლიერესებს გაუტოლდა

**საბჭოთა** კავშირის მშვილდოსანთა ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც ევროპის ზამთრის ჩემპიონატში სასპარეზოდ საბერძნეთს გაემგზავრა, 18 წლის თბილისელი სპორტსმენი ნატო ნახარიძეც ჩარიცხეს. მოზრდილთა ნაკრებში იუნიორი სპორტსმენის მოხვედრა თავისთავად უკვე წარმატებაა მისთვის, მით უმეტეს ისეთ ძლიერ გუნდში, როგორიც ქვეყნის ნაკრებია.

შეჯიბრებამ ცხადყო, რომ ნატო სრულიადაც არ აპირებდა ათენში სტატისტის როლში დარჩენას. მან ძველი კონტინენტის უძლიერეს მშვილდოსნებთან ბრძოლაში საპატიო IV ადგილი დაიკავა, ამასთან აჯობა სამიდან ორ თანაგუნდელს — სუმელ მადლენა კოლესნიკოვას და სახელოვან ნატალია ბუტუზოვას (მოსკოვი). საბჭოთა კავშირის ნაკრების მეოთხე წევრი, კიშინიოველი ნატალია ვალიევა კი ევროპის ჩემპიონი გახდა.

აღსანიშნავია, რომ ჩემპიონატი არაოლიმპიურ დისტანციებზე — 18 და 25 მეტრზე სროლაში ჩატარდა. ვალიევამ 1156 ქულა მოაგროვა, ნასარიძემ — 1137. მას მხოლოდ ორი ქულით გაუსწრო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა, სამით — ვიცეჩემპიონმა. კოლესნიკოვამ 1131 ქულა მოაგროვა.

**მთავარი წარმატება ნ. ნახარიძემ გუნდურ პირველობაში მოიპოვა, იგი კონტინენტის ჩემპიონი გახდა** ვალიევასა და კოლესნიკოვასთან ერთად (გუნდურ ჩათვლაში სამი საუკეთესო შედეგი შედიოდა). ისიც სათქმელია, რომ ნატო მხოლოდ მეორედ ასპარეზობდა 18 და 25-მეტრიან დისტანციებზე, ის კი არა, ასეთი სამიზნეები თბილისში არცა აქვთ.

ნატო ნასარიძე, რომელმაც წლეულს ევროპის იუნიორთა ჩემპიონობაც მოიპოვა, სპორტსაზოგადოება „მართვეს" წევრია. მისი მწვრთნელები არიან ვლადიმერ ლეკვეიშვილი და ალექსანდრე მეძევიძე. სხვათა შორის, ორივეს სულ ახლახან მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება.



სურათზე: ნატო ნახარიძე.

**გუშინდელ** სარედაქციო ფოსტაში, როგორც საერთოდ ამ დღეებში, აშკარად ჭარბობდა წერილები, რომლებიც ეხმიანებოდა ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის ჩატარების წინადადებას. ერთი ნაწილი მხარს უჭერს მას, მეორე კატეგორიული წინააღმდეგია. გამოიკვეთა რამდენიმე პოზიცია: 1. ეროვნული ჩემპიონატი ჩატარდეს საკავშირო ლიგებში მოასპარეზე საქართველოს საუკეთესო გუნდების გარეშე; 2. ჩატარდეს ამ გუნდების მონაწილეობით; 3. ჩატარდეს ჩვენი საუკეთესო გუნდების მონაწილეობით, ოღონდ საკავშირო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ და ახალი სეზონის წინ; 4. ჯერ საერთოდ არაა მომწიფებული სიტუაცია ეროვნული ჩემპიონატის ჩასატარებლად; 5. წლის ბოლოს მოვაწყოთ მხოლოდ „დამოუკიდებლობის თასის" გათამაშება საქართველოს ყველა უძლიერესი გუნდის მონაწილეობით. არის სხვა წინადადებებიც. ყველა თავგამოდებით ასაბუთებს თავის პოზიციას. მაგრამ ზოგიერთი იმასაც გვთხოვს, ჯერ ვაუწყოთ, ვინ იძლევა იმის გარანტიას, რომ ჩვენს ფეხბურთელებს გზა გაეხსნებათ უეფა-ს და ფიფა-ს ტურნირებისკენ და შემდეგ ვიმსჯელოთ ეროვნული ჩემპიონატის ჩატარების საკითხზე. დამოუკიდებელი ჩემპიონატის ჩატარება არ არის საერთაშორისო საფეხბურთო მოძრაობაში ჩაბმის გარანტიაო, გვწერენ ისინი. (იხ. მე-2 გვ.).

## ფიზკულტურულ ორგანიზაციებში

**მიმდინარეობს** სპორტსაზოგადოება „შევარდენის" საქალაქო და რაიონული საბჭოების პლენუმები. სპორტსაზოგადოების ადგილობრივი საბჭოს პლენუმები უკვე გაიმართა თბილისში, ჭიათურაში და ამბროლაურში.

ფიზკულტურულ კოლექტივებში გრძელდება საანგარიშო-საარჩევნო კრებები.

## ოლიმპიურ ჩემპიონთა საყურადღებოდ!

**საქართველოს** ოლიმპიურ ჩემპიონთა კლუბის ხელმძღვანელობა აცნობებს კლუბის ყველა წევრ ოლიმპიურ ჩემპიონს, რომ 13 დეკემბერს, 16 საათზე, თბილისში სანაპიროზე მდებარე ტანვარჯიშულ დარბაზში დანიშნულია კლუბის წევრთა შეკრება.

## სამშაბათიდან — სამშაბათამდე

### მხოლოდ ფაქტები

#### თბილისი

● **საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადებით მზადდება საკითხი დედაქალაქში მომუშავე ფიზკულტურისა და სპორტის მუშაკებისთვის ხელფასის მომატების შესახებ.**

● კალინინის რაიონის ხელმძღვანელობამ გამოთქვა სურვილი რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის კოორდინაციისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით შექმნას ერთიანი რაიონული რგოლი, სადაც გაერთიანდებიან სპორტკომიტეტი, სპორტსკოლა და პროფკავშირთა საზოგადოება (დავძენდით, ალბათ აქვე უნდა შევიდეს დოსააფის რაიონული კომიტეტი).

● **საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ინვალიდებს შორის სარაიონო სპარტაკიადების ჩატარების შესახებ.**

● გლდანის რაიონში მიმდინარეობს მუშათა სპარტაკიადა.

● **ოქტომბრის რაიონში გრძელდება მოსწავლეთა სპარტაკიადა.**

● დაძმობილებულ ქალაქ ლიუბლიანიდან (იუგოსლავია) დაბრუნდა თბილისის სპორტკომიტეტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლის მოცურავეთა ნაკრები გუნდი.

● **ამჟამად ხირვაში იმყოფება ტყვიის მსროლელთა თბილისის ნაკრები.**

## მხარდაჭერა

**ბევრი** ახალი გაზეთი გამოდის ჩვენს რესპუბლიკაში ბოლო ხანს, რაც გარდაქმნისა და საჯაროობის სიკეთემ მოიტანა. ყველა გამოცემას ეროვნული სატკივარი აწუხებს და ესაა მთავარი თემა. ამ გაზეთებში ქართული სპორტის სრული სუვერენიტეტის მხარდამჭერი წერილებიც იბეჭდება. ახლახან გამოვიდა საქართველოს ეროვნული კომუნისტური ალიანსის დროგამოშვებითი ორგანო გაზეთ „ნათლისვეტის" მეორე ნომერი, სათაურით „მივესალმებით" ამ გაზეთში ვკითხულობთ:

„საქართველოს ეროვნული კომუნისტური ალიანსი (ეკა) მიესალმება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას, საქართველოს მომავალი დამოუკიდებლობისათვის მავალ გზაზე წინგადადგმულ ნაბიჯს.

ალიანსი მხარს უჭერს და უცხადებს სრულ ნდობას ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ღირსეულად არჩეულ ხელმძღვანელობას ქალბატონ **ნინა გაფრინდაშვილის** თავკაცობით".

## ქართველ მოჭიდავეთა „ოქროს" ტურნე

**შესანიშნავად** დააგვირგვინეს მიმდინარე სპორტული წელი ქართველმა ძიუდოისტებმა. ესპანეთის ქალაქ ბარსელონაში დამთავრებულ დიდ ტრადიციულ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, რომელშიც 22 გუნდი გამოდიოდა, ჩვენმა მოჭიდავეებმა პირველი გუნდური ადგილი დაიკავეს, დიდი თასი, სამი ოქროს, ორი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

ამ ცნობის მიღების შემდეგ რედაქციაში გვეწვია საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი **ანზორ მარტყოფლიშვილი.**

აი, რა გვითხრა მან:

— ესპანეთის ამ ტრადიციულ, რიგით მეცხრამეტე ტურნირზე, ჩვენი გუნდი ექვსი მოჭიდავით იყო წარდგენილი. გარდა ამისა, ბარსელონაში გვახლდა სახელოვანი ქართველი ძიუდოისტი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი, გორელი ანზორ ქიბროწაშვილი. ბარემ თავიდანვე ვიტყვი, რომ შეჯიბრება ქალთა შორისაც მიმდინარეობდა. საბჭოთა კავშირის სახელით რუსეთის ფედერაციის ნაკრები გამოდიოდა. მან გუნდური მესამე ადგილი, ერთი „ოქრო" და ორი ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. რაც შეეხება ვაჟთა ტურნირს, შეჯიბრების ოფიციალურ აფიშებსა და ოქმებში ყველგან რუსეთის ნაკრები ეწერა. როდესაც შეჯიბრების ორგანიზატორებს ავუხსენით, რომ ჩვენ რუსეთიდან კი არა, საქართველოდან ვართ, ბოდიში მოგვიხადეს და ყველგან სასწრაფოდ შეიტანეს შესწორება. ცხადია, ამის შემდეგ სპორტულ დარბაზშიც (ალბათ, აქ გაიმართება ოლიმპიური ასპარეზობებიც სპორტის რამდენიმე სახეობაში) საქართველოს გუნდს აცხადებდნენ. ისიც უნდა ითქვას, რომ ბარსელონელი სპორტსმენები, და საერთოდ კატალონიელები, მოითხოვენ ესპანეთის ოლიმპიური კომიტეტისაგან, ცალკე გამოვიდნენ ოლიმპიურ თამაშებზე — „ისევე, როგორც თქვენ, ქართველებს და ბალტიისპირელებს გსურთო!". რაც შეეხება თვით შეჯიბრებას, ჩვენმა ბიჭებმა მართლაც საუკეთესოდ იჭიდავეს. ჯერ ერთი, რომ ასეთ ძლიერ კონკურენციაში პირველი გუნდური ადგილი მოვიპოვეთ. პირად პირველობაში **ჩემპიონები გახდნენ ლილო. ბათო ჯიქური (71 კგ), ფლავიხმანელი (გორის რაიონი) ანზორ თენაძე (86 კგ) და მცხეთელი (ქარელის რაიონი) ზაზა ცისრუნდაშვილი** (+95 კგ). **აღსანიშნავია, რომ ჩვენმა ფალავნებმა ხუთ-ხუთი შეხვედრა ჩაატარეს და თითქმის ყველა წმინდად მოიგეს.** საერთოდ კი ოცდაათი შეხვედრიდან მხოლოდ სამი წავაგეთ, ისიც ქულებით. ვერცხლის მედლებს დაეუფლნენ ლენტეხელები კახა ქურასბედიანი (65 კგ) და ზურაბ ონიანი (78 კგ), ბრინჯაოს მედალი მოიპოვა თბილისელმა თამაზ სააკაშვილმა (86 კგ). სპეციალისტებსა და გულშემატკივრებს ისე მოეწონათ ქართველ ფალავანთა გამოსვლა, ქართული ილეთები, რომ გვთხოვეს კიდევ ორი კვირა დავრჩენილიყავით მათთან ერთობლივი ვარჯიშისათვის. დაგვიგეგმეს ბარსელონისა და ვალენსიის სხვადასხვა კლუბებთან ყოველდღიური ვარჯიში, მრავალი ქართული ფონდი ჩავატარეთ, რასაც ესპანეთის ძიუდოს ფედერაციის თხოვნით სპეციალურად იღებდა ადგილობრივი ტელევიზია. ახლა ბაკურიანში მივემგზავრებით თვრამეტდღიან შეკრებაზე, იანვრის 23-26 რიცხვებში კი უკვე ახალი წლის პირველი სტარტი გველის — სსრ კავშირის პირველობა კიევში.

**„ლელოს" კორ.**

# დავით ზაქარიას ძე ჭავჭავაძე?!

(დასასრული)

ტისტიკური სამმართველოს ყოველწლიურ ცნობარ — „კავკაზსკი კალენდარში", რომელიც 1907 წლიდან სისტემატურად აქვეყნებს „თბილისის დოღის წამახალისებელი საზოგადოების" წევრთა სიას.

ალბათ მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს თუ რას წარმოადგენდა ეს საზოგადოება.

საზოგადოების მიზანი იყო ცხენოსნური სპორტის პოპულარიზაცია, დოღების მოწყობის ორგანიზაცია, ტოტალიზატორის გამართვა და შემოსავლების საპრიზო ფონდის შექმნა.

საზოგადოება ირჩევდა: საპატიო პრეზიდენტსა და წევრებს, პრეზიდენტს, ვიცე-პრეზიდენტს, ნამდვილ წევრებს, მდივანს, ხაზინადარს, ტექნიკური, მსაჯთა და ტოტალიზატორის მომწყობი კომისიის წევრებს.

საინტერესო ფაქტია, რომ „კალენდარში" გამოქვეყნებულ სხვა სპორტულ საზოგადოებებთან და წრეებთან შედარებით, ყველაზე მეტი ქართული გვარი ამ მეტად ავტორიტეტულ საზოგადოებაში ფიგურირებს, რაც ჩვენს თანამემამულეთა შორის ცხენოსნური სპორტის დიდ ტრადიციებსა და პოპულარობაზე მეტყველებს.

საზოგადოების სტრუქტურის და შემადგენლობის გაცნობის მიზნით წარმოგიდგენთ 1907 წელს „კავკაზსკი კალენდარში" დაბეჭდილ ცნობას.

„თბილისის დოღის წამახალისებელი საზოგადოება".

საპატიო პრეზიდენტი — გენერალ ადიუტანტი გრაფი ილარიონ ივანეს ძე ვორონცოვ-დაშკოვი; პრეზიდენტი — გენერალი იაკობ დიმიტრის ძე ლაზარევი; საპატიო წევრები: დიდი მთავარი ნიკოლოზ მიხეილის ძე, პრინცი ლუდოვიკ-ნაპოლეონი, პრინცი კონსტანტინე პეტრეს ძე ოლდენბურგსკი, სტატიდამა გრაფინია ელისაბედ ანდრიას ასული ვორონცოვა-დაშკოვა, თავადი გიორგი დიმიტრის ძე შერვაშიძე, კავალერიის გენერალი ივანე ფედორის ძე ტუტოლმინი, ინფანტერიის გენერალი ალ-კალ-ძე, ფრეზე, გრაფი ა. ნ. ნიროდი, პოლკოვნიკი ალ-რე ივანეს ძე ლაზარევი, დიმ. ივ. ილოვაისკი და ბარონი ვლადიმერ რუდოლფის ძე შტეინგელი. უფროსი წევრები: პოლკოვნიკი თავადი როსტომ გრიგოლის ძე წერეთელი, ვასილ მიხეილის ძე თამამშევი; კანდიდატები: ბ. ს. შერემეტიევი, ნიკ. ედ-ძე შმიდენ-კოვალსკი. ტექნიკური კომისიის წევრები: პოდპოლკოვნიკი ვ. მ. თამამშევი, შტაბს-როტმისტრი თავადი გირეი, ბორ. ალ-ძე არაპოვი.

კანდიდატები: არტ. იოსების ძე კაზაროვი, ნიკ. ვას-ძე რილსკი. ხაზინადარი — კაპიტანი, თავადი პლატონ მიხეილის ძე ლორთქიფანიძე. წევრი-მდივანი — ა. გ. მელქუმოვი".

1910 წელს საზოგადოების წევრები ხდებიან გენერალ მაიორი თავადი გიორგი ილიას ძე ორბელიანი და თავადი ნიკოლოზ პეტრეს ძე მხეიძე.

1911 წელს „თბილისის დოღის წამახალისებელი საზოგადოების" ქართველ წევრებს შორის არიან: გ. დ. შერვაშიძე, რ. გ. წერეთელი, პლ. მიხ. ლორთქიფანიძე, გ. ი. ორბელიანი, ნ. პ. მხეიძე და ახლადარჩეულნი — თავადი ჩხოტუა, პოლკოვნიკი ღლონტი, მახათაძე, თავადი მიქელაძე, თავადი გივი ამილახორი და პორუჩიკი გამრეკელი.

და აი, ოლიმპიური 1912 წლიდან (1914 წლამდე) საზოგადოების წევრთა სიაში ფიგურირებენ თავადი როტმისტრები — ზაქარია არჩილის ძე და დავით ზაქარიას ძე ჭავჭავაძეები.

1912 წლის „კავკაზსკი კალენდრის" სამხედრო უწყების დაწესებულებათა და არმიის ცნობარში (მისამართები) მივაკვლიეთ კიდევ ერთ ჭავჭავაძეს, კავკასიის ცხენოსანთა დივიზიის ტვერის -მე-16 დრაგუნთა პოლკის მეთაურს — პოლკოვნიკ ნიკოლოზ მიხეილის ძე ჭავჭავაძეს.

ისე რომ, ჩვენთვის ცნობილი გახდა 3 მხედარი ჭავჭავაძე. მაშ ამ სამი ჭავჭავაძიდან რომელი უნდა იყოს V ოლიმპიური თამაშების მონაწილე?

ნ. მ. ჭავჭავაძე არ ჩანს ცხენოსნური სპორტის მოყვარული, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი აუცილებლად იქნებოდა „თბილისის დოღის წამახალისებელი საზოგადოების" წევრი, ხოლო ოლიმპიური თამაშების მონაწილე მხედართა სიაში მისი გვარი რომ იგულისხმებოდეს, ის აუცილებლად თავისი რანგისა და ჩინის მიხედვით, უფრო ზევით, პოლკოვნიკ შრედერის შემდეგ იქნებოდა მოხსენიებული.

ისე, რომ დარჩნენ ზაქარია არჩილის ძე და დავით ზაქარიას ძე ჭავჭავაძეები — მამა და შვილი.

ჩვენი აზრით პირველი ქართველი ოლიმპიელი უნდა იყოს დავით ზაქარიას ძე ჭავჭავაძე, რომელიც მამაზე 20 წლით მაინც უმცროსი იქნებოდა, და ახალგაზრდობის გამო — უკეთესი მოჯირითე მხედარიც.

**გონდო ჩიკვაიძე,**
**საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო არქივების სამეცნიერო-საცნობარო ბიბლიოთეკის დირექტორი.**



# 25 ქულა მეორე ტაიმში

**ჩაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.**

**მოსკოვი.** გათამაშების ერთპიროვნულმა ლიდერმა ცსკა-მ ორი შეხვედრა მოიგო მინსკის რადიოტექნიკის ინსტიტუტის გუნდთან 107:64, 101:76, აღსანიშნავია, რომ მეორე მატჩში არმიელებს შეუპოვარი წინააღმდეგობა გაუწიეს სტუმრებმა და ტაიმი ფრედ (44:44) დაამთავრეს. მაგრამ შესვენების შემდეგ ცსკა-მ ხელთ იგდო ინიციატივა და საბოლოოდ 25 ქულიან უპირატესობას მიაღწია.

**კაუნასი.** „ჟალგირისი" და „ტალინის „კალევი" სატურნირო ცხრილში ერთმანეთის მახლობლად იმყოფებიან და პრიზიორთა სამეულში მოხვედრისთვის იბრძვიან. სწორედ ამიტომ ბრძოლა უაღრესად მძაფრ ხასიათს ატარებდა. „ჟალგირისმა" გაიმარჯვა 5 ქულით — 83:78.

**კიევი.** ასევე შეუპოვარი იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ადგილობრივი „ბუდიველნიკის" ორთაბრძოლა რიგის ვეფ-თან. პირველი ტაიმის შემდეგ ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ მასპინძლებს ამ შეხვედრაში პრობლემები გაუჩნდებოდათ. ამის გარანტიას 10-ქულიანი სხვაობა წარმოადგენდა — 51:41. მაგრამ შესვენების შემდეგ რიგელებმა ბრწყინვალედ ითამაშეს და ანგარიშის გათანაბრებაც მოახერხეს — 98:98. დამატებით ხუთწუთიან ტაიმში ჩემპიონმა ერთი ზუსტი სროლით აჯობა მეტოქეს და გაიმარჯვა 105:103.

**ალმა-ათა.** ადგილობრივი არმიელების უპირატესობა აუტსაიდერთან — ვილნიუსის „სტატიბასთან" მთელი მატჩის განმავლობაში უდავო იყო და გამარჯვებაც მათ დარჩათ 106:84 (55:40).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 11 დეკემბრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 17 | 16 | 1 | 33 |
| ვეფ | 17 | 11 | 6 | 28 |
| „კალევი" (ტალ.) | 17 | 10 | 7 | 27 |
| „დინამო" (მოს.) | 16 | 10 | 6 | 26 |
| „ჟალგირ." (კაუნ.) | 17 | 9 | 8 | 26 |
| რტი (მინსკი) | 18 | 8 | 10 | 26 |
| ასკ (ალმა-ათა) | 15 | 10 | 5 | 25 |
| „სპარტაკი" (ლენ.) | 18 | 6 | 12 | 24 |
| „ბუდიველნიკი" (კ.) | 15 | 8 | 7 | 23 |
| „შახტიორი" (დონ.) | 18 | 5 | 13 | 23 |
| „დინამო" (თბ.) | 15 | 5 | 10 | 20 |
| „სტატიბა" (ვილნ.) | 17 | 2 | 15 | 19 |

ალტერნატივა?

მკითხველი ასე ფიქრობს...

# საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

წინადადებები, შენიშვნები, მოსაზრებები

## ნუ ვიჩქარებთ, პრობლემა ბევრია...

„ლელოში" კვლავ ვკითხულობთ წერილებს იმის თაობაზე, საჭიროა თუ არა, რომ თბილისის „დინამო" მონაწილეობდეს საბჭოთა კავშირის საფეხბურთო პირველობებზე, ბევრს უმჯობესად მიაჩნია ამიერიდან დაწესდეს რესპუბლიკური ჩემპიონატი, სადაც უნდა მონაწილეობდეს საქართველოს ყველა საუკეთესო გუნდი, მათ შორის თბილისის „დინამოც" და ლანჩხუთის „გურიაც". მაგალითად, სულ ახლახან, 7 დეკემბრის გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნდა ა. ჩხაიძის წერილი, რომელიც ვეთანხმები — ვფიქრობ, ვაყალიბებს... საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს რესპუბლიკის 12 უძლიერესი გუნდის მონაწილეობით, მათ შორის იქნებიან თბილისის „დინამო", ლანჩხუთის „გურია", ბათუმის „დინამო", სოხუმის „დინამო", ქუთაისის „ტორპედო", ფოთის „კოლხეთი", რუსთავის „მეტალურგი", გორის „დილა", ოზურგეთის „მერცხალი" და ა. შ. საინტერესოა იცის თუ არა ამ წერილის ავტორმა, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატიდან თბილისის „დინამოს" და ლანჩხუთის „გურიის" გამოთიშვა გამოიწვევს ამ გუნდების საერთო კლასის მკვეთრ დაქვეითებას, მთლიანად გუნდიც და, თუ გნებავთ, ცალკეული ფეხბურთელებიც თუ არ მონაწილეობენ კარგად ორგანიზებულ დიდ ასპარეზობაში, მათი ტექნიკური დონე არ ამაღლდება. გარდა ამისა, გუნდები მნიშვნელოვნად დაკარგავენ მაყურებელს, ე. ი. შემოსავლის წყაროს და ერთი-ორი იშვიათი სავარაუდო საერთაშორისო შეხვედრა ვერ შეცვლის იმ დონეს, რომელიც საბჭოთა კავშირის პირველობებს ახასიათებს.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ადგილობრივი ქალაქებისა და რაიონების ხელმძღვანელებს დაეკარგებათ სტადიონების აშენების, კეთილმოწყობის, გუნდების ხელშეწყობის ინტერესი. განა ლანჩხუთის „გურია" მიაღწევდა ამ შედეგებს, მას რომ არ ეთამაშა საბჭოთა კავშირის პირველობაზე და პერსპექტივაში არ ჰქონდა უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსი? ანდა რაიონის მშრომელები ააშენებდნენ იმ სტადიონს და სპორტულ ბაზებს, მიზნად რომ არ ჰქონოდათ გუნდის უმაღლეს ლიგაში გადასვლა?

ზოგიერთ წერილში ხშირად ახსენებენ საკავშირო პირველობებზე მსაჯების არაობიექტურობას, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ამის ერთ-ერთი მიზეზთაგანია ჩვენში კვალიფიციური მსაჯების უყოლობა. საკავშირო პირველობებს ჩვენგან ახლა მხოლოდ ერთი მსაჯი გ. სეფიაშვილი სჯის. ეს იმ დროს, როცა წარსულ წლებში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩებს სჯიდნენ ნ. ჩხატარაშვილი, ვ. რამიშვილი, კ. ყრუაშვილი, ი. ბოჭორაძე, გ. ბაქანიძე, მ. მიმინოშვილი, გ. აკობაშვილი, ა. ფეიქრიშვილი, გ. გვანცელაძე, ა. მილჩენკო, ზ. თოდაძე და სხვანი.

საბჭოთა კავშირის 10 საუკეთესო მსაჯის სიაში საქართველოდან სისტემატურად შედიოდნენ კ. ყრუაშვილი, გ. ბაქანიძე, ი. ბოჭორაძე, მ. მიმინოშვილი, ა. მილჩენკო, გ. გვანცელაძე. როცა ეს ხალხი სჯიდა საკავშირო და საერთაშორისო თამაშებს, ძალაუნებურად სხვა რესპუბლიკების მსაჯებიც გვიწევდნენ ანგარიშს. აქედან გამომდინარე საჭიროა ამ უბანსაც მივაქციოთ საჭირო ყურადღება. მსაჯების კვალიფიკაციის ამაღლებას, მათს დაოსტატებას დიდი მნიშვნელობა აქვს.

როდესაც ლაპარაკია ჩვენი რესპუბლიკის ამა თუ იმ გუნდის სპორტული დონის მდგომარეობაზე, ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებას ჩვენში მუდამ ნაკლები ყურადღება ექცეოდა, და სწორედ ამის გამო ხშირ შემთხვევაში მწვრთნელები რუსეთიდან ჩამოგვყავდა. მწვრთნელთა ეროვნული კადრების სისტემატურ, მიზანდასახულ მზადებას ჩვენში არასოდეს ვაქცევდით სათანადო ყურადღებას, ეს კი უარყოფითად მოქმედებდა ჩვენს ფეხბურთზე.

დიდ ყურადღებას ითხოვს ფეხბურთში რეზერვების მომზადების მეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხი. ბავშვებთან არ უნდა მუშაობდნენ არასპეციალისტები, შემთხვევითი მწვრთნელები, ამას კი ხშირად ვხვდებით მოზარდთა ფეხბურთის სპორტულ სკოლებში. იქ არა აქვთ შექმნილი საჭირო პირობები, არა გვაქვს სტადიონები, სათამაშო მინდვრები. ზამთრობით ჩვენში საერთოდ არ გაგვაჩნია ნორმალური ვარჯიშის პირობები, ბავშვებს ვერ ვამარაგებთ მაღალხარისხიანი სპორტული ფორმით, ინვენტარით, ბურთებით და ა. შ.

ხშირად უნდა ეწყობოდეს შეჯიბრებები სპორტსკოლებს შორის. წელიწადში არანაკლებ 8-10 შეჯიბრება მაინცაა საჭირო.

ყურადღება უნდა მიექცეს მწვრთნელების მატერიალურ დაინტერესებას. შემთხვევითი არ არის ის ამბავი, რომ ფეხბურთელები, რომლებსაც თამაშის დიდი გამოცდილება აქვთ — სპორტის ოსტატები, საერთაშორისო კლასის ოსტატები და ა. შ, როცა ასაკის გამო ეთიშებიან დიდ ფეხბურთს, არ აპირებენ ბავშვებთან მუშაობას სპორტულ სკოლებში, ვინაიდან იქ სათანადო პირობები არაა და ხელფასებიც ერთობ დაბალია (120-150 მანეთი თვეში). ამიტომაც მუშაობას იწყებენ სხვა პროფილით, უმეტესად ეტანებიან ვაჭრობას და სარფიან საქმეს.

ქართულ ფეხბურთს უამრავი სიძნელე და პრობლემა ახლავს თან, საჭიროა ამ პრობლემების დაძლევა, დაბრკოლებათა გადალახვა და მაშინ გახდება შესაძლებელი ჩვენი გუნდების თამაშის კლასის ამაღლება.

**ივანე ბოჭორიძე,**
**საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი.**

## საქართველომ თავისი სიტყვა უნდა თქვას

**თუ** ერი დაკარგული სახელმწიფოებრიობის აღდგენისთვის იბრძვის, ჭეშმარიტი გულშემატკივარისათვის განა საკითხავია უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის არსებობა? განა ცუდად გამოიყურებიან საერთაშორისო ფეხბურთში დანია, შვეიცარია, ურუგვაი...

საკავშირო ჩემპიონატების მწარე ხილის გემო ბევრჯერ გვიგემია, ბევრჯერ „სათბურებშიც" ქულები დაგვიტოვებია, ღირსებაც აუყრიათ.

რა „წარმატებებს" აღწევენ საერთაშორისო სარბიელზე მუდმივი პრიზიორები, ყველას მოგეხსენებათ. ჩემი აზრით, ქართული ფეხბურთის აღმავლობა მხოლოდ ეროვნული ჩემპიონატის წყალობით მოხდება, გაიზრდება პასუხისმგებლობის გრძნობა და მონდომება, ხშირი იქნება საერთაშორისო შეხვედრები, ბოლო მოეღება საკავშირო დისკრიმინაციას. ეს არის უეფა-ს დამოუკიდებელ წევრად გახდომის სწორი გზა.

წარმატებით ევლოთ ქართველ ფეხბურთელებს ეროვნული თავისუფლების დროშით!

**ჯონი ბაზერაშვილი.**

## დავიღუპებით...

**პირდაპირ** დავიწყებთ: საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში მონაწილეობა აუცილებელია. ეროვნული ჩემპიონატი რას მოგვიტანს. უეფა-ს თასზე და ჩემპიონთა თასების თასზე ვერ მივიღებთ მონაწილეობას და დავიღუპებით. რაც უნდა დაგვჩაგრონ მსაჯებმა, მაინც ფეხბურთში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი გვირჩევნია. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მსაჯებმა არ დაგვჩაგრონ და მიკერძოება არ იყოს. და კიდევ, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მატჩები დასაწყისში და დასასრულში გაიმართოს საქართველოში და არა დახურულ დარბაზებში ჩრდილოეთში.

**რობერტ და კობა გობეჯიშვილები.**
ბათუმი.

## როგორც ევროპაში...

**დამოუკიდებელი** ჩემპიონატის მომხრე ვართ, ეს ყველა ჭეშმარიტი ქართველის ოცნებაა. დაე, დაიწყოს ეს ჩემპიონატი მომავალ 1990 წლიდან.

გაგაცნობთ ჩვენს აზრს თუ რომელმა რეგიონებმა უნდა მიიღონ მონაწილეობა ჩემპიონატში: 1. თბილისი, 2. ქუთაისი, 3. ზუგდიდი, 4. ბათუმი, 5. ოზურგეთი, 6. სოხუმი, 7. თელავი, 8. გორი, 9. ცხინვალი, 10. რუსთავი, 11. ტყიბული, 12. ფოთი, 13. ჭიათურა.

საქართველოს ჩემპიონატი ჩატარდეს ისე, როგორც ტარდება ევროპაში.

**დავით კაკულია,**
**თამაზ კაკულია,**
**თემურ კაკულია.**
ქ. ზუგდიდი.

## სიხარულს გაუმარჯოს!

**გულდასმით** ვკითხულობ ყველა მასალას თქვენს გაზეთში, რაც ფეხბურთს ეხება. რამდენჯერ მიფიქრია, განა შეიძლება დღევანდელ ეტაპზე იმაზე დავა, გამოვიდეს თუ არა ქვეყნის ჩემპიონატში თბილისის „დინამო"? მე არ შევუდგები არგუმენტების მოტანას და მტკიცებას. ერთ ეპიზოდს მოგითხრობთ მხოლოდ, ვფიქრობ, ამით ყველაფერი იქნება ნათქვამი.

1989 წლის 9 სექტემბერი. საღამოს 5 საათზე უნდა შევეკრიბოთ ერთ-ერთ თანამემამულესთან, რომელიც გუშინ დაბრუნდა შვებულებიდან. სუფრა ქართულია... როდესაც ბოლო წუთი იწურებოდა მატჩისა „სპარტაკი" — თბილისის „დინამო", ავდექი ფეხზე და ვთქვი: „ვუსურვოთ დინამოელებს ასე ბევრჯერ მოეგვაროს სიხარულის ცრემლი". ჩვენ ერთმანეთს ვეხვეოდით. ერთმა წამოიწყო და ყველამ ავიტაცეთ ჩვენი „მრავალჟამიერი".

ჰოდა, მითხარით, საქართველოს რომელ გუნდთან გამარჯვება მოგვგვრიდა ასეთ სიხარულს?

**ა. მოდებაძე.**
**სამთო ინჟინერი.**
**ქ. მაკეევკა. დონეცკის ოლქი.**

# მონაწილე გუნდების, მსაჯების, მეტერანი მორაგბეებისა და გულშემატკივრების საყურადღებოდ!

**საქართველოს** 22-ე ჩემპიონატის ფინალური შეჯიბრება გაიმართება თბილისში, სპორტსახკომის ვარკეთილის სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის სარაგბო სტადიონზე, 16-23 დეკემბერს. ტურნირში მონაწილეობას მიიღებს შესარჩევი შეჯიბრებებით გამოვლენილი 6 გუნდი: ქუთაისის „აისი" და ჭიათურის „სამთოელი" (დასავლეთ საქართველოდან), პოლიტექნიკური ინსტიტუტი, „შევარდენი", უნივერსიტეტი და ზოოვეტერინარული ინსტიტუტი (თბილისიდან). შეჯიბრებაში პირველ და მეორე ადგილებზე გასული გუნდები 23-ე ჩემპიონატში, საკავშირო პირველობის მონაწილეებთან ერთად, გაერთიანდებიან პირველ ჯგუფად.

ჩემპიონატის პარალელურად ვარკეთილშივე მოეწყობა მწვრთნელთა და მსაჯთა სემინარები. სპეციალისტთა დასწრება სავალდებულოა.

შეჯიბრების ბოლო დღეს, 23 დეკემბერს, გაიმართება პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და უნივერსიტეტის ვეტერან მორაგბეთა თამაში. შეხვედრა საქართველოში რაგბის დაარსების 30 წლისთავს ეძღვნება.

**საქართველოს რაგბის კავშირი.**

• 3 • ლელო



# იტალია—90 მსოფლიო ჩემპიონატი

# ფინალური ჯგუფები დაკომპლექტდა

8 ივნისამდე, როცა დაიწყება 1990 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, დრო თითქოს საკმარისადაა დარჩენილი, მაგრამ იტალია უკვე კარგა ხანია დიდი ფეხბურთით ცხოვრობს. გულშემატკივრები მოუთმენლად ელიან საინტერესო გათამაშების დაწყებას და ამ საერთო აჟიოტაჟის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი ნაწილი იყო ჩემპიონატის ფინალური თამაშების მონაწილე 24 გუნდის ჯგუფებად დანაწილების წილისყრა.

განვლილ შაბათს, რომის სპორტის სასახლეში შედგა ეს წილისყრა, საზეიმო ცერემონიალს ბრწყინვალე შოუ ახლდა, რომელშიც ჩართული იყვნენ ხელოვნების გამოჩენილი ოსტატები, გუნდების განაწილებაში კი მონაწილეობდნენ წარსულის ცნობილი ფეხბურთელები ლეგენდარული პელეს მეთაურობით.

თვით წილისყრას დიდი მოსამზადებელი სამუშაო უძღოდა წინ. საჭირო იყო 6 ჯგუფში 6 ლიდერის განსაზღვრა. როგორც წერენ, წილისყრა 2376 ვარიანტს გულისხმობდა, საჭირო იყო ყველაზე უფრო ობიექტური, ზუსტი და შეუცდომელი ვარიანტის შერჩევა. რა თქმა უნდა, იდეალურ ვარიანტზე ლაპარაკი ძნელია, მაგრამ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის საორგანიზაციო კომიტეტმა ყველაფერი გააკეთა თავისი ობიექტურობის პრინციპების შესატყვისად. თუმცა, „კულისებსმიღმა“ ლაპარაკი მაინც არის. კერძოდ ის, რომ იტალიელებს გარკვეული შეღავათები აქვთ მეტოქეებთან შედარებით, ისინი რომის ნაცნობ სტადიონზე თამაშობენ, მგზავრობა არ უხდებათ და, არსებითად, მეტოქეებიც ყველაზე სუსტები შეხვდნენ.

ამრიგად, წილისყრის შედეგები:

**I ჯგუფი**

**იტალია, ავსტრია, ამერიკის შეერთებული შტატები, ჩეხოსლოვაკია.**

**II ჯგუფი**

**არგენტინა, სსრ კავშირი, რუმინეთი, კამერუნი.**

**III ჯგუფი**

**ბრაზილია, კოსტა-რიკა, შოტლანდია, შვეცია.**

**IV ჯგუფი**

**გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იუგოსლავია, არაბეთის გაერთიანებული საემიროები, კოლუმბია.**

**V ჯგუფი**

**ბელგია, სამხრეთ კორეა, ურუგვაი, ესპანეთი.**

**VI ჯგუფი**

**ინგლისი, ეგვიპტე, ჰოლანდია, ირლანდია.**

პირველი შეხვედრები ჯგუფებში ჩატარდება წრიული სისტემით, გათამაშების შემდგომ ეტაპზე თითოეული ჯგუფიდან გავა 2-2 საუკეთესო გუნდი და აგრეთვე, 4 ნაკრები იმ ექვსიდან, რომლებიც მესამე ადგილებს დაიკავებენ. ეს გაირკვევა ჯგუფებში ჩატარებული მატჩების უკეთესი შედეგებით.

ფინალური ეტაპის პირველი მატჩი 8 ივნისს შედგება მილანში, ერთმანეთს შეხვდებიან არგენტინისა და კამერუნის გუნდები.

ჯგუფებში ჩატარებულ შეჯიბრებათა შემდეგ თამაშები ჩატარდება გამოთიშვითი სისტემით.

მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი 8 ივლისს გაიმართება რომში.

საერთაშორისო საფეხბურთო პრესა, მიმომხილველები, სპეციალისტები აღნიშნავენ წინასწარი ჯგუფების თანაბარ შემადგენლობას. ჩვენი ნაკრების ხელმძღვანელებმაც გამოთქვეს თავიანთი შეხედულებანი წილისყრის თაობაზე. კერძოდ, ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ვ. ლობანოვსკიმ თქვა, რომ ჯგუფების შემადგენლობა სიძლიერით თანაბარია, თუმცა, იტალიელებს მაინც აქვთ პირველ ეტაპზე გარკვეული უპირატესობა. ნაკრების უფროსმა ნ. სიმონიანმა განაცხადა, რომ მეორე ჯგუფი, სადაც საბჭოთა ფეხბურთელები გამოდიან, ერთ-ერთი ყველაზე უფრო რთულია და იმ ქალაქებშიც, სადაც მათ უნდა ითამაშონ (ნეაპოლი, ბარი), დიდი სიცხეები იცის. ორივე ეს ქალაქი იტალიის სამხრეთითაა, არგენტინელები და კამერუნელები კი მიჩვეული არიან სიცხეში თამაშს...

თავისი მოსაზრება გამოთქვა არგენტინელმა ფეხბურთელმა, მსოფლიო ჩემპიონმა დიეგო მარადონამაც: „რა თქმა უნდა, ძნელ ჯგუფში მოვხვდით, იტალიელები კი გაცილებით უფრო უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებიან. თუმცა, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში სუსტი მეტოქე, ალბათ საერთოდ არ იქნება. საბჭოთა და რუმინელი ფეხბურთელები ძნელი მეტოქეებია, კამერუნელებსაც შეუძლიათ სიურპრიზი შემოგვთავაზონ. ასეა თუ ისე, წილისყრა შედგა, ახლა მთავარია ჩემპიონატისთვის კარგად მომზადება“.

არგენტინის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ბილარდომ განაცხადა, რომ მისი გუნდი კარგად იცნობს საბჭოთა ნაკრებს, რაც შეეხება რუმინელებსა და კამერუნელებს, ისინი სულ ორ-ორჯერ ჰყავს ნანახი. საბჭოთა გუნდი მეტად სახიფათოა კონტრშეტევებისას, რუმინელები კი ფიზიკურად საუკეთესოდ არიან მომზადებული.

— საბჭოთა კავშირისა და რუმინეთის გუნდებთან, — დაუმატა კ. ბილარდომ. — ვითამაშებთ ნეაპოლში და ეს ჩვენთვის გარკვეული უპირატესობაა, ვინაიდან ამ ქალაქში ძალიან უყვართ მარადონა. საერთოდ კი, არა მგონია გაგვიჭირდეს ჩემპიონატის მეორე ეტაპზე გასვლა.

მსოფლიო ჩემპიონატის მატჩები ჩატარდება იტალიის 12 ქალაქში: რომში, ფლორენციაში ნეაპოლში, ბარიში, ტურინში, გენუაში, მილანში, ბოლონიაში, ვერონაში, უდინეში, კალიარიში და პალერმოში.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

### სტატისტიკა, სტატისტიკა...

● **1989** წლის საკავშირო საფეხბურთო ჩემპიონატში თბილისის „დინამოს“ სასარგებლოდ დაინიშნა 4 თერთმეტმეტრიანი (2 — შინ და 2 — სტუმრად). ასევე 4 თერთმეტმეტრიანი დაინიშნა თბილისელთა კარშიც, აქაც 2 — შინ და 2—სტუმრად.

● **დინამოელთა** სასარგებლოდ 11-მეტრიანები დაინიშნა მაშინ, როცა 2 შემთხვევაში ანგარიში ფრე იყო, ორჯერ კი ისინი აგებდნენ, ხოლო მეტოქეთა სასარგებლოდ 11-მეტრიანები 3 შემთხვევაში დაინიშნა, როცა ანგარიში ფრე იყო, ერთხელ კი „დინამო“ აგებდა.

● **თბილისის** „დინამომ“ 47-ჯერ შეცვალა ფეხბურთელი, 25-ჯერ შინ, და 22-ჯერ — სტუმრად. მხოლოდ 4 მატჩში არ შეუცვლიათ ფეხბურთელი თბილისის „დინამოს“ მწვრთნელებს.

● **ყველაზე** მეტჯერ შეცვალეს თ. ქეცბაია (8), ყველაზე მეტჯერ შემცვლელად გამოვიდა გ. დარასელია (7).

**მერაბ წურწუმია.**

ზუგდიდი.

## ფეხბურთელები „მიგრირებენ“

**საბჭოთა** ფეხბურთელთა ექსპორტი უცხოეთის ქვეყნებში გრძელდება. როგორც ცნობილი გახდა, დნეპროპეტროვსკის „დნეპრის“ მოთამაშეებმა ა. ჩერედნიკმა და ვ. ლიუტიმ კონტრაქტები გააფორმეს ინგლისის „საუთჰემპტონთან“ და გფრ-ის „შალკე-04“-თან. ამავე ქვეყანაში გაემგზავრება ამ გუნდის მოთამაშე ე. შახოვი.

მოსალოდნელია, რომ მაროკოს გუნდებში ითამაშებენ ოდესის „ჩერნომორეცის“ ფეხბურთელები ი. ქეკიუ და ო. ტარანი.

## წილისყრა— 15 დეკემბერს

**იმასთან** დაკავშირებით, რომ 9 დეკემბერს რომში შედგა მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრა, გადაიდო ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების წილისყრა. ჩემპიონთა თასის, თასების მფლობელთა თასისა და უეფა-ს თასის ტურნირების წილისყრა 15 დეკემბერს შედგება შვეიცარიაში.

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

### პორტუგალია

**მე-11 ტური.** „ბოავიშტა“ — „პორტო“ 0:1, „ფეირენსე“ — „სპორტინგი“ 1:2, „სეტუბალი“ — „გიმარაეში“ 0:1, „შავიში“ — „მარიტიმო“ 2:1, „ტირსენსე“ — „პორტიმონენსე“ 1:0, „ბრაგა“ — „ბენფიკა“ 0:4, „ამადორა“ — „ნასიონალი“ 3:0, „ბელენენსეში“ — „ბეირა“ 1:0, „უნიაო“ — „პენაფიელი“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტო“ | 11 | 26-3 | 19 |
| „გიმარაეში“ | 12 | 19-9 | 19 |
| „ბენფიკა“ | 10 | 31-3 | 16 |

### ესპანეთი

**მე-14 ტური.** „სელტა“ — „რეალი“ 0:0, „ატლეტიკო“ — „სან სებასტიანი“ 0:0, „ბილბაო“ — „ოსასუნა“ 1:1, „სევილია“ — „ოვიედო“ 1:2, „სარაგოსა“ — „ვალიადოლიდი“ 2:2, „მალაგა“ — „კასტელონი“ 1:1, „ლოგრონიესი“ — „ტენერიფე“ 4:1, „კადისი“ — „მაიორკა“ 1:1, „ხიხონი“ — „ვალეკანო“ 1:0, „ვალენსია“ — „ბარსელონა“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი“ | 14 | 33-15 | 21 |
| „ვალენსია“ | 14 | 22-18 | 18 |
| „სან სებასტიანი“ | 14 | 14-11 | 18 |

### ჩეხოსლოვაკია

**მე-13 ტური.** „პოვაჟსკა ბისტრიცა“ — „სპარტა“ 0:4, „ინტერი“ — „ბანიკი“ 2:0, „ვიტკოვიცე“— „სლოვანი“ 1:0, „დუკლა“ — „ბანსკა ბისტრიცა“ 1:0, „ბოჰემიანსი“ — „სლავია“ 3:1, „რუდა ჰვეზდა“— „დუნაისკა სტრედა“ 3:0, „სპარტაკი“ — „ნიტრა“ 0:0, „ბრნო“ — „ოლომოუცი“ 2:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სპარტა“ | 11 | 26-10 | 19 |
| „ბანიკი“ | 12 | 17-12 | 16 |
| „სლოვანი“ | 13 | 11-7 | 16 |

### ავსტრია

**22-ე ტური.** „გრაცერი“ — „აუსტრია“ 0:5, „ვინერ სკ“ — „ვიენა“ 1:1, „ტიროლი“ — „კრემსერი“ 0:3, „ადმირა“ — „ზალცბურგი“ 5:2, „სენტ პოლტენი“ — „შტეირი“ 3:0, „რაპიდი“ — „შტურმი“ 3:0.

## საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**I ეტაპის ცხრილი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტიროლი“ | 22 | 44-21 | 34 |
| „აუსტრია“ | 22 | 50-25 | 31 |
| „ადმირა“ | 22 | 55-38 | 29 |

### შოტლანდია

**მე-16 ტური.** „სელტიკი“ — „აბერდინი“ 1:0, „დანდი“ — „მოზერეული“ 2:1, „დანფერმლაინი“ — „ჰიბერნიანი“ 0:0, „ჰართსი“ — „რეინჯერსი“ 1:2.

| | | |
|---|---|---|
| „აბერდინი“ | 16 | 21 |
| „რეინჯერსი“ | 16 | 21 |
| „სელტიკი“ | 16 | 18 |

### იუგოსლავია

**მე-17 ტური.** „დინამო“ — „ველეჟი“ 3:0, „სპარტაკი“ — „ცრვენა ზვეზდა“ 1:3, „ჟელეზნიჩარი“ — „ბუდუჩნოსტი“ 1:0, „ჰაიდუკი“ — „ბორაცი“ 1:0, „პარტიზანი“ — „რადნიჩკი“ 2:1, „სლობოდა“ — „ოლიმპია“ 2:0, „ვოივოდინა“ — „რადი“ 2:1, „ოსიეკი“ — „რიეკა“ 0:1, „ვარდარი“ — „სარაევო“ 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „დინამო“ | 17 | 29-7 | 24 |
| „ცრვენა ზვეზდა“ | 17 | 41-21 | 20 |
| „ჰაიდუკი“ | 17 | 26-19 | 19 |

### რუმინეთი

**მე-15 ტური.** „ბაკაუ“ — „პეტროშანი“ 2:1, „ვიქტორია“ — „ჰუნედოარა“ 2:0, „კრაიოვა“ — „პლოეშტი“ 2:0, „ბრაშოვი“ — „ტიმოშოარა“ 0:0, „კონსტანცა“ — „კლუჟი“ 4:0, „მორენი“ — „დინამო“ 1:2, „ოლტი“ — „არჯესი“ 2:1, „ორადეა“ — „სიბიუ“ 1:0, „სპორტული“ — „სტიაუა“ 0:5.

| | | |
|---|---|---|
| „დინამო“ | 15 | 28 |
| „სტიაუა“ | 15 | 25 |
| „კრაიოვა“ | 15 | 22 |

### თურქეთი

**მე-9 ტური.** „საკარიასპორი“ — „ტრაბზონსპორი“ 2:2, „ფენერბახჩე“ — „ბურსასპორი“ 2:2, „სამსუნსპორი“ — „ბეშიქთაში“ 1:3, „გალათასარაი“ — „კონიასპორი“ 4:0, „ზეითუნბიერნუ“ — „სარიერი“ 0:2, „გალატიასპორი“ — „ბოლუსპორი“ 1:1, „ანკარაგიუჯუ“ — „ადანსპორი“ 2:2, „კარსიაკა“ — „ალთაი“ 5:1, „დემირსპორი“ — „გენჩლირბირლიგი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ტრაბზონსპორი“ | 9 | 18-7 | 21 |
| „ბეშიქთაში“ | 9 | 23-6 | 19 |
| „ფენერბახჩე“ | 9 | 16-7 | 19 |

### გდრ

**მე-13 ტური.** „მაგდებურგი“ — „კარლ-მარქს-შტადტი“ 1:1, „ფორვერტსი“ — „შტალი ეიზენჰუტენშტადტი“ 2:0, „ენერგია“ — „ჰემი“ 1:1, „შტალი ბრანდენბურგი“ — „კარლ ცეისი“ 4:0, „ვისმუტი“ — „დინამო“ (ბერლინი) 0:0, „როტ ვაისი“ — „ჰანზა“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მაგდებურგი“ | 13 | 26-10 | 20 |
| „დინამო“ (დრეზდ.) | 12 | 23-9 | 19 |
| „ჰანზა“ | 13 | 23-14 | 17 |

### ბრაზილია

**II ეტაპი. მე-6 ტური.** „კრუზეირო“ — „ფლამენგო“ 2:0, „სანტოსი“ — „ინტერნასიონალი“ 2:0, „გოიასი“ — „სან პაულუ“ 0:0, „ვასკო და გამა“ — „ატლეტიკო მინეირო“ 1:1 „ფლუმინენსე“ — „სპორტი“ 0:0, „ნაუტიკო“ — „პალმეირასი“ 2:2.

**I ჯგუფი**

| | |
|---|---|
| „სან პაულუ“ | 19 ქ. |
| „მინეირო“ | 17 ქ. |
| „ბოტაფოგო“ | 17 ქ. |

**II ჯგუფი**

| | |
|---|---|
| „პალმეირასი“ | 20 ქ. |
| „ვასკო და გამა“ | 19 ქ. |
| „კრუზეირო“ | 18 ქ. |

### არგენტინა

**მე-17 ტური.** „ინსტიტუტო“ — „სან ლორენსო“ 2:2, „პლატენსე“ — „ტალერესი“ 1:1, „არგენტინოს ხუნიორსი“ — „რესინგ კლუბი“ 1:2, „ბოკა ხუნიორსი“ — „გიმნასია“ 2:3, „ესტუდიანტესი“ — „რივერ პლეიტი“ 2:1, „ინდეპენდიენტე“ — „დეპორტივო ესპანიოლი“ 0:1, „ფეროკარილ ოესტე“ — „ველეზ სარსფილდი“ 0:0, „უნიონი“ — „რესინგი კორდობა“ 2:0, „ნეველს ოლდ ბოისი“ — ჩაკო ფორ ევერ“ 3:2, „დეპორტივო მანდიუ“ — „როსარიო სენტრალი“ 0:1.

| | | |
|---|---|---|
| „რივერ პლეიტი“ | 17 | 23 |
| „ინდეპენდიენტე“ | 17 | 22 |
| „როსარიო სენტრალი“ | 17 | 22 |

(სპჰ. კორ.)

## მინიფეხბურთი აჭარასა და აფხაზეთში

**დამთავრდა** აჭარის 1989 წლის ჩემპიონატი მინიფეხბურთში, ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ქობულეთის „გვარა“ და ბათუმის „ჭოროხი“. საინტერესო თამაში დამთავრდა ქობულეთელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

აღსანიშნავია, რომ შეჯიბრება არ იყო აფიშირებული, ამიტომაც მას მაყურებელი ნაკლებად ესწრებოდა. გარდა ამისა, არც მსაჯობა იყო კვალიფიციური და ობიექტური.

**ოთარ მურვანიძე,**
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

• • •

**უკვე** მეოთხე წელია, რაც აფხაზეთში იმართება ტრადიციული ტურნირი მინიფეხბურთში. წლევანდელი ასპარეზობა ყველაზე მასობრივი იყო, მასში მონაწილეობდა აფხაზეთის სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის 50 გუნდი.

ტურნირში უკვე მესამეჯერ გაიმარჯვა სოხუმის „მაიაჩოკმა“, მეორე ადგილი დაიკავა გალის რაიონის ნაკრებმა, მესამეზე გავიდა სოხუმის „კორიენტელი“, რომელიც ი. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის კოლექტივს წარმოადგენდა.

გამარჯვებული გუნდი „მაიაჩოკი“ (მწვრთნელი გ. დუდუჩავა) მესამედ მიიღებს მონაწილეობას რესპუბლიკურ ტურნირში, რომელიც თბილისში გაიმართება.

**თენგიზ პაჭკორია.**

სოხუმი.

## მსაჯები გაფიცვას აპირებენ

ესპანეთის დედაქალაქში ამას წინათ ჩატარდა ფეხბურთის არბიტრთა გენერალური ასამბლეა, სადაც ერთ-ერთმა მსაჯმა ხოსე ანტონიო მაზორა ფრეირემ განაცხადა, რომ ესპანელი არბიტრები გაიფიცებიან, თუკი ფეხბურთელები არ შეწყვეტენ დაუსაბუთებელ ლაპარაკს იმის თაობაზე, რომ მსაჯები მიკერძოებით მოქმედებენ.

ამ განცხადებას მხარი დაუჭირა ესპანეთის ფეხბურთის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტმა ხოსე პლაზამ, რომელმაც განაცხადა, რომ დატოვებს ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელის პოსტს, ვინაიდან არავითარი სურვილი არა აქვს აიტანოს ეს შეურაცხყოფანი.

ხულ ახლახან მსაჯთა მკაცრი კრიტიკით პრესაში გამოვიდნენ მადრიდის „ატლეტიკოს“ მწვრთნელი ხესუს ჯილი და ამავე გუნდის ფეხბურთელი უგო სანჩესი. მათ მიმართ მიღებული იქნება გარკვეული სანქციები.

## ყველა დროის იდეალური გუნდი

ამ რამდენიმე ხნის წინ საინტერესო იდეა წამოჰყრა საფრანგეთის ყოველკვირეულმა ჟურნალმა „ეკიპ-მაგაზინმა“. იდეა ასეთია: გამოვლინდეს მსოფლიოს ისტორიაში საუკეთესო საფეხბურთო ნაკრები გუნდი, რომელიც ოფიციალურად არსებობდა და მონაწილეობდა დიდ შეჯიბრებებში. ჟურნალმა შექმნა თავისებური იმპროვიზებული ჟიური, რომელშიც შევიდნენ ცნობილი დასავლეთგერმანელი ფეხბურთელი ფრანც ბეკენბაუერი, ფრანგი მწვრთნელი ანრი მიშელი, ამ ქვეყნის ნაკრების ყოფილი მოთამაშე მაქს ბოსი და სხვანი. შეიმუშავეს კონკურსის თავისებური რეესტრიც, სადაც გუნდებს პირველი ადგილისთვის ეწერებოდათ 3 ქულა, მეორისთვის — 2, მესამესთვის — ქულა.

როცა კონკურსის შედეგები შეჯამდა, გამოირკვა, რომ ფეხბურთის ისტორიაში საუკეთესო ყოფილა ბრაზილიის 1970 წლის ნაკრები, მეორე ადგილი დაიკავა ბრაზილიის 1958 წლის ნაკრებმა, მესამე — ჰოლანდიის 1974 წლის გუნდმა, მეოთხე — უნგრეთის 1954 წლის გუნდმა, ხოლო მეხუთე — გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1974 წლის ნაკრებმა. შემდეგ მიდიან ინგლისისა და პორტუგალიის 1966 წლის გუნდები.

ჟიურის ამგვარი დასკვნა, რა თქმა უნდა, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, თუნდაც იმიტომ, რომ რეესტრში მოხსენიებული არაა იტალიის ნაკრები, იგი კი სამჯერ იყო მსოფლიო ჩემპიონი, ნახსენები არ არიან არგენტინელები, ურუგვაელები, ესპანელები.

რა თქმა უნდა, ასეთ ძნელ საკითხს იოლად ვერ გაარკვევ, მაგრამ, ჩვენი აზრით, „ეკიპ-მაგაზინის“ ჟიური ერთში კი სწორია: ბრაზილიის 1970 წლის ნაკრები, სადაც გამოდიოდნენ პელე, ჟერსონი, რიველინო, ტოსტაო, ევერალდო, კლოდოალდო, ჟაირზინიო, კარლოს ალბერტო და სხვანი, შესაძლოა, მართლაც უმაღლესი საფეხბურთო ღირსების ეტალონი იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრივის ხიბლი...

**კრივის** გულშემატკივრებს მეტად საინტერესო ასპარეზობა ელით 13-14 დეკემბერს თბილისის სპორტის სასახლის სარბიელი ამ სახეობის წარმომადგენელთა განკარგულებაში იქნება. აქ მოზარდ მოკრივეთა თბილისის VIII ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირთან ერთად მაყურებელი ნახავს სსრ კავშირის აბსოლუტური პირველობის ნახევარფინალურ და ფინალურ შეხვედრებს. დიახ, მომავალ თაობას მიეცემა საშუალება ფვალნათლივ იხილოს საბჭოთა ქვეყნის უძლიერესი მძიმეწონოსანი მოკრივეების — ვიქტორ აქსიონოვისა და ევგენი სუდაკოვის (90 კგ-მდე), ზემძიმე წონის სპორტსმენების — სერგეი კრავჩენკოსა და ალექსანდრ მიროშნიჩენკოს შეხვედრები. როგორც კრივის მოყვარულებმა იციან, ამ პირველობას ჯერ კიდევ ომამდე მიეცა დასაბამი და მას მიხაილოვ-კოროლიოვისა და კოროლიოვ-ნავასარდოვის მომხიბვლელი ბრძოლები ამშვენებდა. შემდეგ აბსოლუტური პირველობა კარგა ხნით მიივიწყეს და იგი მხოლოდ 1974 წლის დეკემბერში აღდგა ყოველკვირეულ „ნედელიას" თაოსნობით. უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეტროსპექტული შეჯიბრება წინამორბედს არაფრით ჩამოუვარდება. ჯერ მარტო გორსტკოვ-ვისოცკის უკომპრომისო ბრძოლები რად ღირს...

ის, რომ წლევანდელი აბსოლუტური ჩემპიონატის ბრძოლები თბილისში ჩაივლის, სულაც არაა შემთხვევითი, რადგან წარსულში ჩვენი ქალაქის წარმომადგენლები, კერძოდ, სპორტის დამსახურებული ოსტატები ანდრო ნავასარდოვი და ლევან ღუდუშაური, ღირსეულად იცავდნენ ქართული კრივის სახელს და ანგარიშგასაწევი მეტოქეები იყვნენ ყველასათვის. დღეს ერთ-ერთ მათგანზე ვისაუბრებთ.

თბილისელები მას კარგად იცნობენ. როცა ეს ჭარმაგი მამაკაცი გვერდით ჩაგივლით, უთუოდ თვალს გააყოლებთ. სახეზე ყოველთვის ღიმილი დასთამაშებს. იგი, როგორც ეს ნამდვილ ვაჟკაცებს სჩვევიათ, ცხოვრებაშიც უოცლად უბოროტო და დინჯია.

შეუძლებელია გაიხსენო, რომ ანდრო ნავასარდოვი ვინმეს წონასწორობიდან გამოეყვანოს. აი, რინგზე კი ნამდვილი ცეცხლი იყო. ვისაც მისი გამოსვლები ახსოვს, დაგვეთანხმება. რომ იგი სიმამაცისა და გა-



ანდრო ნავასარდოვი

მბედაობის მაგალითი გახლდათ. აღარაფერს ვამბობ მის სპორტულ ეთიკაზე, მეტოქის დაფასებასა და დიდ პატივისცემაზე, რომელსაც იჩენდა სრულიად ახალბედების მიმართაც კი.

ამ დღეებში, როცა კრივის თაყვანისმცემლები წლევანდელი სპორტული სეზონის ერთ-ერთი მთავარი და უაღრესად საინტერესო შეჯიბრების მოლოდინში არიან, პირველ ყოვლისა, ალბათ სწორედ ანდროს სპორტული ოსტატობა უნდა გავიხსენოთ. იგი ომამდელი და ომის შემდგომი პერიოდის მსგავსი ასპარეზობების სამგზის მონაწილეა და სამივეჯერ ძალზე ახლოს იყოს მოზანთან, მაგრამ 1940 წელს ზედ ფინალის წინ ავად გახდა და აბსოლუტური პირველობის ფინალი არ გათამაშებულა. შემდეგ ორ ფინალში მან უძლიერესის წოდება დათმო ისეთ ოსტატებთან, როგორებიც ნიკოლაი კოროლიოვი და ევგენი ოგურენკოვი იყვნენ.

— ამ ასპარეზობას ბევრი რამ აქვს საგულისხმო, — თქვა ანდრო ნავასარდოვმა, — მათგან ორ მთავარს გამოვყოფ. ერთია სანახაობითი მხარე. საქმე ისაა, რომ ერთ საღამოს თორმეტი წყვილის გამოსვლის ყურება ძალზე მომქანცველია ყველასთვის, რის გამოც ზარალდება ბრძოლის აღქმითი მხარე. სულ სხვა საქმეა ერთ საღამოს ერთი ან ორი შეხვედრის ნახვა. ეს სპექტაკლის ყველაზე საინტერესო ადგილის ცალკე ხილვას ჰგავს, რომელიც მთლიანად პიესაში შეიძლება დაიკარგოს, აქ კი ორმაგი ძალით აღიქმება. გაიხსენეთ რობერტ შავლაყაძის ჰროზის გათამაშება სიმაღლეზე ხტომაში — მას ხომ ორი საათის განმავლობაში ათასობით მაყურებელი სულგანაბული ადევნებდა თვალს. მეორე კი — ესაა წმინდა უტილიტარული მხარე, რომლითაც თვით კრივი იგებს. კერძოდ, მძიმეწონოსან მოკრივეთა ოსტატობა მაღლდება. ამას ისახავდა მიზნად ქვეყნის აბსოლუტური პირველობა თავიდან, როცა ტურნირში ჩაებნენ ტყავის ხელთათმნის ისეთი ოსტატები, როგორებიც იყვნენ ვიქტორ მიხაილოვი, ევგენი ოგურენკოვი, ვიქტორ სტეპანოვი, ლევან ღუდუშაური, ივან განიკინი და სხვანი.

და ბოლოს, ეს „წლის ორთაბრძოლები" ამთავითვე გვპირდება, რომ შეჯიბრება საინტერესო უნდა იყოს, რადგან მასში ღირსეული მეტოქეები მონაწილეობენ.

ტურნირის სპონსორები არიან გაერთიანება „თბილრძე", ოზურგეთის რაიონის მერიის საკონსერვო ქარხანა. აბსოლუტური ჩემპიონატისა — „XXI საუკუნის ასოციაცია".

**უშანგ ჭიჭინაძე.**

# ვიქტორ სანეევისა და რუთ ფუქსის მემკვიდრეები

**ამერიკული ჟურნალი „ტრეკ ენდ ფილდ ნიუსი" უკვე მეორედ ატარებს რეფერენდუმს ათწლეულების მსოფლიოს საუკეთესო მძლეოსნების გამოსავლენად. პირველ გამოკითხვაში დასახელებულია 70-იანი წლების საუკეთესო მძლეოსანი ვაჟი და ქალი. ლაურეატები გახდნენ ოლიმპიური თამაშების სამგზის ჩემპიონი სამხტომში ვიქტორ სანეევი (საბჭოთა კავშირი) და შუბისმტყორცნელი რუთ ფუქსი (გდრ).**

80-იანი წლების შედეგებით სპეციალისტებმა უპირატესობა მიანიჭეს ორი ოლიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონს, ამერიკელ კარლ ლუისს და მსოფლიოს რეკორდსმენს 400 მეტრზე რბენაში მარიტა კოხს (გდრ). ისინი აღიარებული არიან ბოლო ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენებად.

წლევანდელ ანკეტაში ვაჟთა შორის მომდევნო ადგილებზე გავიდნენ: 2. მსოფლიოს რეკორდსმენი, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში სერგეი ბუბკა (სსრ კავშირი), 3. მსოფლიოს რეკორდსმენი 400 მ თარჯრბენში ედვინ მოზესი (აშშ). საუკეთესოთა ათეულში მოხვდა კიდევ ორი საბჭოთა მძლეოსანი — უროს მტყორცნელი, მსოფლიოს რეკორდსმენი იური სედიხი და ოლიმპიური ჩემპიონი სერგეი ლიტვინოვი.

ქალთა შორის მეორე და მესამე ადგილები ხვდათ ამერიკელებს ჯეკი ჯოინერ-კერსისა (მსოფლიოს რეკორდსმენი შვიდჭიდში, ოლიმპიური ჩემპიონი) და ეველინ ეშფორდს (მსოფლიოს ექს-რეკორდსმენს 100 მეტრზე რბენაში, ოლიმპიურ ჩემპიონს).

საბჭოთა მძლეოსანთაგან ათეულში დასახელებულია მხოლოდ ტატიანა კაზანკინა — 1500 მეტრზე რბენაში მსოფლიოს რეკორდსმენი.

## წელიწადი - მკითხველი

**სოფია.** ვეტერან ჰოკეისტთა საერთაშორისო ტურნირის ფინალში, (შეჯიბრებას ტრადიციულად ატარებს ბულგარეთის გაზეთი „ოტეჩესტვენ ფრონტი") საბჭოთა ნაკრებმა დაამარცხა მასპინძლების გუნდი 6:2. გამარჯვებულებმა ექვსი შესაძლებლიდან ექვსი ქულა დააგროვეს.

**ბლედი.** იუგოსლავიის ამ ქალაქის გარეუბანში გაიმართა ბიატლონისტთა შეჯიბრება, რომელშიც კარგი მომზადება გამოამჟღავნეს გდრ-ის სპორტსმენებმა. 20 კილომეტრზე რბოლა ანდრე ზემიშმა მოიგო. 10-კილომეტრიანი დისტანცია კი ბირკ ანდერსმა. ოლიმპიური ჩემპიონი ფრანკ-პეტერ როტში 20 კილომეტრზე მეცხრე იყო, სპრინტში — მეორე.

**ლეიკ-პლესიდი.** „მფრინავ მოთხილამურეთა" მსოფლიო თასის გათამაშებას ლიდერობს ფინელი არიპეკა ნიკოლა — 57 ქულა. ბოლო ეტაპზე ენდრეი ვერვეიკენმა 85 მეტრი დასძლია, საერთო ჯამში კი იგი მეცხრე ადგილზეა. გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდნენ ავსტრიელები (146 ქულა). მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ფინეთის (129 ქულა) და გფრ-ის (63 ქულა) წარმომადგენლები.

**ალმა-ათა.** სინქრონულ ცურვაში საბჭოთა კავშირის თასის გათამაშებაში წარმატებით იასპარეზეს მოსკოველმა მოცურავეებმა. სოლისტების შეჯიბრება მოიგო 16 წლის ელენე აზაროვამ. მანვე ნატალია გრუზდევასთან ერთად გაიმარჯვა წყვილთა ტურნირში.

**საბადელი.** ესპანეთის ამ ქალაქში მიმდინარე მოცურავეთა ევროპის თასის გათამაშების პირველ დღეს 18 წლის ვლადიმერ სელკოვმა გამარჯვება მოიპოვა 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში — 1.58,06. საბჭოთა კავშირის ვაჟთა ნაკრები ჯერჯერობით მეორე ადგილზეა. აქ დაწინაურდა გფრ-ის გუნდი. ქალებში ყველაზე კარგი მდგომარეობა აქვთ გდრ-ის მოცურავეებს.

## კალეიდოსკოპი

● მარტო საფეხბურთო ხულიგნები არ უჩენენ თავსატეხს ბრიტანეთის პოლიციას. პოლიციის სტატისტიკის მიხედვით, 17 ათასი კაცია დაკავებული იპოდრომებზე, ფეხბურთის მატჩებზე კი მხოლოდ 6185. მარტო ერთი „დოლის კვირეულზე" ესკოტში 600 მაყურებელი დააპატიმრეს.

● ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში ნაიმ სულეიმანოღლიმ, რომელიც თავის დროზე ბულგარეთიდან თურქეთში გაიქცა, იქიდან ყველა მაჰმადიანისათვის წმინდა ადგილს — მექას მიაშურა. „ამის შემდეგ, განაცხადა მან — პოლიტიკით დავინტერესდები".

● ჩოგბურთის „დედოფალი" შტეფი გრაფი საყვარელი თამაშის გარდა სხვა საქმეებითაც არის დაკავებული. ციურიხში მან განაცხადა, რომ კერძო გაკვეთილებს იღებს ბიოლოგიაში, გეოგრაფიაში, უცხო ენებში.

● ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი აკადემიურ ნიჩბოსნობაში ენდრიუ ჰოლმსი (დიდი ბრიტანეთი) საფრანგეთის ნაკრების სპეციალური მრჩეველი იქნება და ბარსელონის ოლიმპიადა-92-ისთვის მომზადებაში მოეხმარება მას.

● 1990 წლის 1 იანვრიდან ისრაელის მძლეოსნებს შესაძლებლობა მიეცემათ, მონაწილეობა მიიღონ ევროპის ჩემპიონატში, რომელიც 3-4 მარტს გლაზგოში (დიდი ბრიტანეთი) გაიმართება.

● საფრანგეთის ავიოკამპანია „ერ ფრანსმა" და თეთრი ოლიმპიადა-92-ის ორგკომიტეტმა დადეს ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც „ერ ფრანსი" გახდება თამაშების მეხუთე ოფიციალური სპონსორი.



თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე გასულ კვირას გაიმართა საქველმოქმედო მატჩი ფეხბურთში ქალთა გუნდებს შორის. თბილისის „ივერიამ" ჭიათურის „საპოვნელას" უმასპინძლა. თამაში თბილისელთა სრული ტერიტორიული უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დამთავრდა — 4:1.

ს უ რ ა თ ზ ე: თამაშობენ თბილისის „ივერიისა" და ჭიათურის „საპოვნელას" ქალთა გუნდები.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო.

# თეთრი ბილიკების „მეპატრონენი"

**ამერიკის** ქალაქ სოლტ-ლეიკ-სიტის თეთრ ბილიკებზე დაიწყო მსოფლიო თასის გათამაშება სათხილამურო რბოლაში. ტრადიციულად, მსგავს ასპარეზობებს ტონს აძლევენ შვედი და საბჭოთა მოთხილამურეები და, რა თქმა უნდა, ვიკინგთა შთამომავლებს, რომლებიც საგანგებოდ მოემზადნენ ამ შეჯიბრებისთვის, ტვლავინდებურად ისევ საბჭოთა სპორტსმენები მიაჩნიათ მთავარ მეტოქეებად. მათი იმედი ამ თავისებურ დუელში მაინც ცნობილი გუნდი სვანია, რომელმაც კვლავ ისახელა თავი ამას წინათ გამართულ შესარჩევ შეჯიბრებაში 15-კილომეტრიან ტრასაზე. მას მხარი უნდა აუბან კ. მაიბეკმა, ტ. მოგრენმა და სხვებმა. მწვრთნელ პეტერსონს (განსაკუთრებით კმაყოფილია მაიბეკის გამოსვლით, რომელმაც შარშან მუხლის რთული ოპერაცია გაიკეთა და ამ შეჯიბრებაზე საპატიო მეორე ადგილს დაეუფლა) მათთან ერთად გუნდში ეყოლება ახალგაზრდები ნ. იუსონი, ა. ბერგსტრემი, ლ. რომსტრემი. შვედები მაინც გამოყოფენ 27 წლის ლ. ჰოლანდს, რომელიც შარშან მოულოდნელად შეიჭრა ელიტაში და ლახტის მსოფლიო ჩემპიონატში ოქროს მედალსაც დაეუფლა ამანათრბოლაში, 15 კილომეტრზე რბენაში კი „ბრინჯაო" არავის დაუთმო.

— ჩვენთვის ძალზე საპატიო იქნება თუ კვლავ „შევებმებით" საბჭოთა მრბოლებს, რომლებსაც ამ ზამთარს მსოფლიო თასის მოპოვება აქვთ განზრახული— თქვა პეტერსონმა.

# ჩოგბურთის ამბები

**ლონდონი.** დამთავრდა ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „მასტერსი". წყვილთა შორის მთავარი პრიზი წილად ხვდათ ამერიკელებს პატრიკ მაკინროუსა და ჯიმ გრააბს, რომლებმაც ფინალში ჯონ ფიცჯერალდი (ავსტრალია) — ანდრეს იარიდის (შვეცია) ინტერნაციონალური წყვილი დაამარცხეს 7:5, 7:6, 5:7, 6:3. ოთხი წლის შემდეგ გამარჯვებულთა შორის კვლავ გამოჩნდა მაკინროუს გვარი. ამჯერად პირველი ადგილი ჯონის უმცროსმა ძმამ პატრიკმა დაისაკუთრა. თავად ჯონ მაკინროუ კი მუდმივ თანამეწყვილესთან პეტერ ფლემინგთან ერთად ჯილდოს ზედიზედ შვიდჯერ ფლობდა (1978-1984 წწ).

**ნიუ-იორკი.** საწვრთნელი ვარჯიშის დროს მძიმედ დაშავდა 17 წლის ამერიკელი ჩოგბურთელი მაიკლ ჩანგი, რომელსაც მსოფლიოს კლასიფიკაციაში დღეისთვის მეხუთე ადგილი უკავია. ექიმები ვარაუდობენ, რომ დაშავებული ფეხის მკურნალობას, სულ ცოტა, ნახევარი წელი დასჭირდება.

## „სპორტლოტო"

**მოსკოვში,** 10 დეკემბერს, გაიმართა „სპორტლოტოს" 1989 წლის 50-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45"-დან:** 11 (ფრენბურთი), 28 (ტყვიის სროლა), 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა), 37 (აკრობატიკა), 41 (მაგიდის ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36"-დან:** 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 7 (კლასიკური ჭიდაობა), 25 (საციგაო სპორტი), 29 (სასტენდო სროლა), 33 (ფეხბურთი).

**რედაქტორი**

**თ. ბაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:** წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო",

**რედაქციის ტელეფონები:** წერილების განყოფილება — 93-97-55, სამდივნო — 93-97-53, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58, „მერანი" — 93-97-26, „მერკური" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 68485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კომპლექსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10578